

**საქმიანობა****2020****საქართველოში  
ბუღალტერთა და  
აუდიტორთა****პროფესიული ორგანიზაციების  
წევრთა გამოკითხვის შედეგები**

## სარჩევი

|                                                                                                |    |
|------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| 1. შესავალი .....                                                                              | 1  |
| 2. რეზიუმე.....                                                                                | 1  |
| A. ძირითადი მიგნებები და დასკვნები .....                                                       | 1  |
| B. გამოკითხვის მიგნებების შესაძლო მნიშვნელობა.....                                             | 2  |
| წარმატებები, რომელთა გაუმჯობესებაც არის შესაძლებელი.....                                       | 2  |
| გამოწვევები, რომელთაგანაც გამკლავება არის საჭირო .....                                         | 2  |
| C. შემდეგი ნაბიჯები და ქმედებები.....                                                          | 3  |
| D. საკითხები, რომლებიც გასათვალისწინებელია ამ გამოკითხვის<br>ინტერპრეტირებისას .....           | 3  |
| 3. დეტალური მიგნებები.....                                                                     | 5  |
| კითხვა 1 - პროფესიული ორგანიზაციის წევრობა.....                                                | 5  |
| კითხვა 2 - პროფესიული ორგანიზაციის მმართველობითი ორგანოს წევრობა.....                          | 6  |
| კითხვა 3 - პროფესიული ორგანიზაციების კომუნიკაცია წევრებთან .....                               | 7  |
| კითხვა 4 - პროფესიული ორგანიზაციის ვებ-გვერდის გამოყენება.....                                 | 8  |
| კითხვა 5 - ინფორმაცია რეფორმის შესახებ .....                                                   | 9  |
| კითხვა 6 - პროფესიული მხარდაჭერის წყაროები.....                                                | 10 |
| კითხვა 7 - უწყვეტი პროფესიული განვითარება .....                                                | 11 |
| კითხვა 8 - პროფესიული ორგანიზაციის ეფექტიანობა და გამჭვირვალობა .....                          | 12 |
| კითხვა 9 - რა საჭიროებს გაუმჯობესებას .....                                                    | 14 |
| კითხვა 10 - პროფესიული ორგანიზაციის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.....                            | 15 |
| კითხვა 11 - პროფესიული ორგანიზაციის რეკომენდება კოლეგისტვის .....                              | 16 |
| დანართი ა - მოსაზრებათა ჩამონათვალი სხვადასხვა საჭირო გაუმჯობესების შესახებ,<br>კითხვა 9 ..... | 17 |

# 1. შესავალი

2020 წლის დასაწყისში, საქართველოს ბუღალტერთა და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციების (შემდგომ - პროფესიული ორგანიზაციები) წევრებმა მონაწილეობა მიიღეს გამოკითხვაში, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა კითხვას ინტერნეტის მეშვეობით უპასუხეს. მთლიანობაში მიღებულ იქნა 377 პასუხი საქართველოს ორივე წამყვანი პროფესიული ორგანიზაციის წევრისგან, რომლებიც ერთად წარმოადგენენ საქართველოში პროფესიონალ ბუღალტერთა უმრავლესობას.

კვლევა განხორციელდა ფინანსური ანგარიშგების, აღრიცხვის და აუდიტის სფეროში მიმდინარე რთული და ფართომასშტაბიანი რეფორმების კონტექსტში, რომლებიც საქართველოში უკანასკნელი წლების განმავლობაში მიმდინარეობს. პროფესიულმა ორგანიზაციებმა წამყვანი როლი შეასრულეს ამ რეფორმების განხორციელებისას მიღწეულ ბევრ წარმატებაში და კვლავაც მოწინავე ხაზზე იქნებიან დარჩენილ გამოწვევებთან გამკლავების პროცესში.

გამოკითხვის შედეგები წარმოდგენილია და გარჩეულია ამ ანგარიშში.

## 2. რეზიუმე

ქვემოთ მოყვანილია კვლევის ძირითადი მიგნებები და თითოეული მიგნების საფუძველზე გამოტანილი ზოგიერთი შესაძლო დასკვნა. შემდეგ ანგარიშში განხილულია ამ მიგნებების სავარაუდო მნიშვნელობები.

ანგარიშში აღწერილია სხვადასხვა შემდგომი ნაბიჯი, რომელთა გადადგმაც შესაძლებელია კვლევის დასკვნებისა და შესაძლო მნიშვნელობების გათვალისწინებით.

ამ ანგარიშში მოყვანილი დასკვნები და მათი შესაძლო მნიშვნელობები არ არის საბოლოო, არამედ ასახავს გამოკითხვისას მიღებულ პასუხებს, რომლებიც შეჯამებულ იქნა ამ ანგარიშის ავტორებისა და მიმომხილველების მიერ.

### A. ძირითადი მიგნებები და დასკვნები

1. ბოლო კითხვაზე ძალიან დადებითი პასუხი იმის თაობაზე, თუ რამდენად ურჩევდნენ წევრები თავიანთ კოლეგებს პროფესიულ ორგანიზაციებში გაწევრიანებას, მიუთითებს იმაზე, რომ, მთლიანობაში, წევრები მხარს უჭერენ საკუთარ პროფესიულ ორგანიზაციებს და მათში წევრობის ღირებულებას ხედავენ.
2. კომუნიკაცია ის სფერო იყო, რომელიც წევრებმა მრავალ კითხვაში გამოჰყვეს, როგორც მათთვის ძალიან მნიშვნელოვანი. გაირკვა, რომ ელფოსტით კომუნიკაცია უმთავრეს საშუალებად ითვლება და ის გამართულად მუშაობს. ამის საპირისპიროდ, ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელების საშუალებით კომუნიკაცია ნაკლებად წარმატებულად ითვლება და გასაუმჯობესებელ სფეროდ დასახელდა.
3. წევრები, ძირითადად, დადებითად აფასებდნენ ინფორმაციის იმ ოდენობას, რომელსაც პროფესიული ორგანიზაციები ტექნიკურ სფეროებში მათ აწვდიან. ამავე დროს, მათ გამოთქვეს მოსაზრებები სხვადასხვა გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

4. პირისპირ შეხვედრები და ტრენინგები წევრთა მიერ გამოვლინდა, როგორც მნიშვნელოვანი და ზოგადად დადებითად ფასდებოდა ის, თუ როგორ ატარებენ მათ პროფესიული ორგანიზაციები. ზოგიერთმა წევრმა ხაზი გაუსვა იმას, რომ საჭიროა შემოთავაზებული ტრენინგების აქტუალობისა და თანამედროვეობის შენარჩუნების უზრუნველყოფა. როგორც კომუნიკაციის, ისე ტრენინგის, სადაც ეს შესაძლებელია, ონლაინ რეჟიმში გადატანის უპირატესობები და სირთულეები წევრებმა აღნიშნეს კვლევის მრავალ მონაკვეთში.
5. რაც შეეხება უწყვეტ პროფესიულ განვითარებას, ლექტორებისა და მასალის ხარისხი დადებითად შეფასდა. ამასთან, წევრებმა აღნიშნეს, რომ შესაძლებელია კურსების ინტერაქტიურობის ხარისხის გაუმჯობესება და კურსების განრიგის შემუშავებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება.
6. პასუხები კითხვაზე პროფესიული ორგანიზაციის მართვის გამჭვირვალობასთან და ეფექტიანობასთან დაკავშირებით მიუთითებს გარკვეულ სფეროებზე, სადაც ორგანიზაციას შეუძლია საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესება გამჭვირვალობის ამაღლების და საუკეთესო პრაქტიკის მიმართულებით.

## B. გამოკითხვის მიგნებების შესაძლო მნიშვნელობა

წარმატებები, რომელთა გაუმჯობესებაც არის შესაძლებელი

სფეროები, რომლებსაც წევრები, ძირითადად, დადებითად აფასებდნენ და სადაც პროფესიულმა ორგანიზაციებმა საკუთარი წარმატების გაუმჯობესება უნდა სცადონ, მოიცავს:

- კომუნიკაცია ელფოსტის საშუალებით
- კომუნიკაცია შეხვედრების გზით
- ტექნიკური ინფორმაციის მიწოდება, მაგ. რეფორმებისა და სტანდარტების შესახებ
- უწყვეტი პროფესიული განვითარების მიწოდების ძირითადი ასპექტები - მაღალკვალიფიციური ლექტორები და მაღალი ხარისხის მასალა

გამოწვევები, რომელთაგანაც გამკლავება არის საჭირო

წევრებმა ყურადღება გაამახვილეს სხვადასხვა გამოწვევაზე, რომელთა გადაჭრაც პროფესიულმა ორგანიზაციებმა უნდა სცადონ, რათა მომავალშიც გააგრძელონ წევრების მოლოდინის გამართლება. ესენია:

- ონლაინ ტრენინგების და შეხვედრების ჩატარება
- გარკვეული საკომუნიკაციო არხების გაუმჯობესება, განსაკუთრებით ვებ-გვერდის სახით
- პროფესიული ორგანიზაციების მართვის გამჭვირვალობის და ეფექტიანობის უწყვეტი დახვეწა. ეს დღევანდელ სწრაფად ცვალებად სამყაროში პროფესიული ორგანიზაციების წინაშე არსებული საერთო გამოწვევაა მთელ მსოფლიოში;
- უწყვეტი პროფესიული განვითარების აქტუალობისა და თანამედროვეობის შენარჩუნება და განრიგის შედგენასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა (მეორე მხოლოდ ნაწილობრივ არის შესაძლებელი)

პროფესიულმა ორგანიზაციებმა უნდა გადახედონ კვლევის უფრო დეტალურ მიგნებებს და სცადონ მათზე რეაგირება მათი საფუძვლიანობის შემთხვევაში და თუ კი ეს შესაძლებელია პროფესიული ორგანიზაციების შეზღუდული შესაძლებლობების ფარგლებში.



## C. შემდეგი ნაბიჯები და ქმედებები

ქვემოთ მოცემული შემდეგი ნაბიჯები და ქმედებები ემყარება გამოკითხვის შედეგებსა და დასკვნებს. პროფესიულმა ორგანიზაციებმა უნდა:

1. განახორციელონ კომუნიკაციების გადასინჯვა, რათა არსებული წარმატებები გააუმჯობესონ და გამოავლინონ გამოწვევები და შესაძლებლობები.
2. თანამედროვე სწრაფად ცვალებადი საკომუნიკაციო საშუალებების შესაბამისად გარდაქმნან და განავითარონ პროფესიული ორგანიზაციის კომუნიკაცია (ელფოსტა, ვებ-გვერდი, შეხვედრები და სხვ.)

ქმედება: პროფესიულმა ორგანიზაციებმა შესაძლოა ამ მიმართულებით ექსპერტების დახმარება მოიძიონ და თავიანთი შტატის, მმართველობისა და მართვის კომპეტენციები იმ უნარ-ჩვევების ნაკრებით შეავსონ, რომელიც ამ პრობლემის გადასაჭრელადაა საჭირო.

3. განიხილონ ონლაინ ტრენინგის, შეხვედრებისა და ვებინარების გამოყენების გაფართოების გზები და იკვლიონ რენტაბელური ვარიანტები.

ქმედება: ისევე, როგორც კომუნიკაციის შემთხვევაში, პროფესიულ ორგანიზაციებს შეუძლიათ ექსპერტთა დახმარების მოძიება და ორგანიზაციის მასშტაბით კომპეტენციების გაძლიერება, ონლაინ ტრენინგის, შეხვედრებისა და ვებინარების შემდგომი განვითარების მიზნით.

4. ითანამშრომლონ პროფესიული ორგანიზაციების მმართველობით ორგანოებთან, კომიტეტებთან, ყველა ასაკის წევრთან და IFAC -ის, საერთაშორისო პროფესიული ორგანიზაციების და საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით გამოავლინონ და გადაჭრან გამოწვევები პროფესიული ორგანიზაციის მართვის გამჭვირვალობის და ეფექტიანობის უწყვეტი გაუმჯობესებით.

ქმედება: პროფესიულმა ორგანიზაციებმა უნდა შეადარონ თავიანთი სისტემები და პროცესები საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან და გაზარდონ გამგეობისა და მმართველობის შესაძლებლობები პროფესიული ორგანიზაციის მართვის და ოპერირების მუდმივი დახვეწის მიზნით.

5. გააგრძელონ უწყვეტი პროფესიული განვითარების თანამედროვედ და აქტუალურად შენარჩუნების მიმდინარე პროცესი და მისი ყველასათვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომობა შეინარჩუნონ.

ქმედება: პროფესიულმა ორგანიზაციებმა უნდა გააგრძელონ მჭიდროდ თანამშრომლობა უწყვეტი პროფესიული განვითარების წამყვან მიმწოდებლებთან.

## D. საკითხები, რომლებიც გასათვალისწინებელია ამ გამოკითხვის ინტერპრეტირებისას

ამ გამოკითხვის შედეგების ინტერპრეტირებისას სხვადასხვა ფაქტორია გასათვალისწინებელი. ეს შედეგები საქართველოს ორი წამყვანი პროფესიული ორგანიზაციის, თითქმის 400 წევრის მოსაზრებების საინტერესო ერთიან სურათს გვიჩვენებს. თუმცა კი, ეს მოსაზრებები არ არის საბოლოო ან აუცილებლად

ყველა წევრის შეხედულების ამსახველი. შესაბამისად, გარკვეული სიფრთხილით უნდა განიხილოს. მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორები:

1. წევრთა მხოლოდ ნაწილი გამოეხმაურა გამოკითხვას და მათი მოსაზრებები, შესაძლოა, არ ასახავდეს ყველა წევრის მოსაზრებას. თუმცა, 377 პასუხი საყურადღებო რიცხვია და შედეგების ნდობა გარკვეულწილად შესაძლებელია.
2. პასუხების 70% ბაფის წევრებისგან იქნა მიღებული, ხოლო 30% საბფმფ-საგან. პასუხები უნდა განიხილოს, როგორც ორივე პროფესიული ორგანიზაციისათვის საერთო და არ ასახავს ამ ორი პროფესიული ორგანიზაციის განსხვავებულ მახასიათებლებს. თუმცა, სადაც შედეგები მკაფიოა პასუხებით 60%-ზე ზევით და 40%-ზე ქვევით, შეიძლება მიჩნეულ იქნეს, რომ შედეგი გამყარებულია რესპონდენტების არსებითი რაოდენობით ორივე პროფესიული ორგანიზაციიდან.
3. გამოკითხულთა დაახლოებით 10% პროფესიული ორგანიზაციების მმართველობითი სტრუქტურის წევრია. მოსალოდნელია, რომ მათ დადებითად შეაფასეს პროფესიული ორგანიზაციების მომსახურების ის ასპექტები, რომელზეც პასუხისმგებელნი არიან. ამ ეფექტმა შეიძლება განაპირობოს ზოგიერთი შედეგის დადებითი მიმართულებით ოდნავ მიკერძოებულობა.

### 3. დეტალური მიგნებები

ამ ნაწილში წარმოდგენილია გამოკითხვის 11-ივე კითხვის კონტექსტი, შედეგები და დასკვნები.

#### კითხვა 1 - პროფესიული ორგანიზაციის წევრობა

**კონტექსტი:** საქართველოში ორი წამყვანი პროფესიული ორგანიზაციაა – საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (ბაფი) და საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაცია (საბფმფ). მესამე პროფესიული ორგანიზაცია, საქართველოს დამოუკიდებელ ბუღალტერთა და აუდიტორთა საზოგადოება (ბას), ცოტა ხნის წინ შეერწყა ბაფ-ს.


ორივე პროფესიულმა ორგანიზაციამ გამოკითხვა თავიანთ წევრებს გაუგზავნა.

**კითხვა: რომელი პროფესიული ორგანიზაციის წევრი ბრძანდებით?**

**შედეგები:**

- 377-დან ყველა რესპონდენტმა უპასუხა ამ შეკითხვას
- 267 (71%) ბაფ-ის წევრია.
- 110 (29%) საბფმფ-ის წევრია.

გამოკითხვის შედეგები ასახულია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში.



**დასკვნა:**

- დარჩენილი კითხვების შედეგები უნდა განიხილოს რესპონდენტთა ტიპის გათვალისწინებით, რადგან ორ მესამედზე ოდნავ მეტი ბაფ-ის წევრია.
- მაგალითად, შეკითხვა, რომელმაც დადებითი პასუხების 70% აიღო, შესაძლოა იმას ნიშნავდეს, რომ ორივე ორგანიზაციის რესპონდენტთა 70%-მა დადებითი პასუხი გასცა, ან იმას, რომ ბაფ-ის ყველა წევრმა დადებითად უპასუხა, ხოლო საბფმფ-ის ყველა წევრმა უარყოფითად.
- თუ არ არსებობს კონკრეტული დამახასიათებელი ნიშანი, რომელიც მხოლოდ ერთ პროფესიულ ორგანიზაციას გააჩნია, მაშინ იმის დაშვება შეიძლება, რომ პასუხები საერთოა რესპოდენტთა მთლიანი ჯგუფისათვის.


## კითხვა 2 - პროფესიული ორგანიზაციის მმართველობითი ორგანოს წევრობა

**კონტექსტი:** პროფესიულ ორგანიზაციებს კარგად დამკვიდრებული მმართველობითი ორგანოები და კომიტეტები აქვთ. ამ ორგანოების მრავალი წევრი უკვე წლებია იკავებს პოზიციას და ძალიან მჭიდროდაა დაკავშირებული პროფესიულ ორგანიზაციებთან. რადგანაც ბევრი შეკითხვა ინტერესდებოდა წევრთა აზრით პროფესიული ორგანიზაციების მიერ მათთვის გაწეულ მომსახურებაზე, მოსალოდნელია, რომ ის რესპოდენტები, რომლებიც პროფესიული ორგანიზაციის მმართველობითი ორგანოების წევრები არიან, დადებითად შეაფასებენ ორგანიზაციის იმ მხარეებს, რომლებზეც უშუალოდ ან ირიბად არიან პასუხისმგებელნი. ამან შესაძლოა გავლენა მოახდინოს დადებითი პასუხების წილზე.

**კითხვა:** ხართ თუ არა პროფესიული ორგანიზაციის მმართველობითი ორგანოს ან კომიტეტის წევრი?

**შედეგები:**

- ამ კითხვას 377 რესპოდენტიდან 371-მა უპასუხა; 6-მა პასუხი არ გასცა
- ამ 371-დან 35-მა (9%) დაადასტურა, რომ ისინი თავიანთი პროფესიული ორგანიზაციის მმართველობითი ორგანოს წევრები არიან



**დასკვნა:**

- ის, რომ რესპოდენტთა თითქმის 10% პროფესიული ორგანიზაციის მმართველობითი ორგანოს წევრია, ზეგავლენას მოახდენს მომდევნო კითხვებზე, რადგან მოსალოდნელია, რომ ასეთ წევრთა პასუხები მუდმივად დადებითი იქნება პროფესიული ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებით.
- მკითხველებისთვის, შესაძლოა, სასარგებლო იყოს ამ უნებლიე მიკერძოების "ნორმალიზება" პასუხების შემდგომი განხილვისათვის. მაგალითად, თუ რესპოდენტთა 15% დადებითად პასუხობს კითხვაზე, პროფესიული ორგანიზაციები კარგად მუშაობენ თუ არა, შესაძლოა აღმოჩნდეს, რომ ობიექტური პასუხი 5%-დან 10% -მდე მერყეობს.



### კითხვა 3 - პროფესიული ორგანიზაციების კომუნიკაცია წევრებთან


**კონტექსტი:** პროფესიული ორგანიზაციები წევრებთან კომუნიკაციისთვის სხვადასხვა საშუალებებს იყენებენ, რომლებიც დროთა განმავლობაში ვითარდება. ყველაზე ძლიერი და გამოყენებადი საშუალებების გაანალიზება დაეხმარება პროფესიულ ორგანიზაციებს, ყურადღება გაამახვილონ იმ საშუალებებზე, რომლებიც უფრო ეფექტიანია. ამასთან, შედეგები თანაფარდობაში არ არის მოყვანილი რესპოდენტთა ასაკთან და შესაძლებელია, რომ უფრო ახალგაზრდა რესპოდენტებს განსხვავებული მოთხოვნები გააჩნდეთ სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით.

**კითხვა:** პროფესიული ორგანიზაციის მიერ გამოყენებული რომელი საშუალებაა ეფექტური თქვენთან კომუნიკაციისთვის? (შესაძლებელია რამდენიმეს მონიშვნა)

**შედეგები:**

377 რესპოდენტიდან 373-მა უპასუხა ამ შეკითხვას.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს შედეგებს.



- მიღებული ხმების რაოდენობით პირველი ადგილი ელფოსტამ დაიკავა; თითქმის 80% თვლის, რომ ელფოსტა პროფესიული ორგანიზაციებისათვის კომუნიკაციის ეფექტიანი საშუალებაა.
- კომუნიკაციის მეორე ყველაზე ეფექტიან საშუალებად შეხვედრები დასახელდა. COVID-19-თან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა ამაზე შესაძლოა მომავალში გავლენა მოახდინოს, რადგან პირისპირ შეხვედრების დიდ რაოდენობას ონლაინ რეჟიმზე გადასვლა უწევს.
- მხოლოდ 27% -მა უპასუხა, რომ ვებ-გვერდით მიღებული შეტყობინება ეფექტიანია, რაც დაბალ მაჩვენებლად გვევლინება.

**დასკვნა:**

- პროფესიული ორგანიზაციები შეიძლება იმაზე დაფიქრდნენ, თუ როგორ გაზადონ თავიანთი ვებ-გვერდების საშუალებით კომუნიკაცია უფრო ეფექტიანი.
- ისინი იმაზეც უნდა დაფიქრდნენ, შეიძლება თუ არა ონლაინ შეხვედრებმა მომავალში უფრო დიდი როლი შეასრულოს კომუნიკაციაში.
- იმის გათვალისწინებით, რომ ელფოსტა კომუნიკაციის ყველაზე ეფექტიანი გზაა, პროფესიულმა ორგანიზაციებმა ყურადღება უნდა მიაქციონ მათ მიერ გაგზავნილ ელფოსტას, რათა მაქსიმალურად გაზარდონ მისი ეფექტი. ამ მიმართულებით ტრენინგი სასარგებლო იქნებოდა.


## კითხვა 4 - პროფესიული ორგანიზაციის ვებ-გვერდის გამოყენება

**კონტექსტი:** ორგანიზაციათა ვებ-გვერდები ინფორმაციის მიწოდების მნიშვნელოვან წყაროდ იქცა როგორც წევრებისთვის, ისე სხვებისათვის, მათ შორის ფართო საზოგადოებისთვის. კარგად შემუშავებულ ვებ-გვერდს შეუძლია ორგანიზაციის რეპუტაციის გაძლიერება და წევრების დახმარება თავიანთი ორგანიზაციებისგან მიღებული სარგებლის გაზრდაში. თუმცა, ვებ-გვერდები შეიძლება ცუდი და რთულად გამოსაყენებელი იყოს, რაც მათ წევრებსა და საზოგადოებას მცირე სარგებელს თუ მოუტანს. სიხშირე, რომლითაც წევრები სტუმრობენ ვებ-გვერდს, ორგანიზაციების ვებ-გვერდების აქტუალობისა და სარგებლიანობის ამსახველია.

**კითხვა:** რა სიხშირით ათვალიერებთ პროფესიული ორგანიზაციის ვებ-გვერდს?

**შედეგები:**

- 377-დან 370-მა რესპოდენტმა უპასუხა ამ შეკითხვას.
- ყველაზე მეტი პასუხის მქონე ვარიანტი (38%) იყო, რომ ისინი ყოველკვირა ათვალიერებენ. ხოლო 28% ათვალიერებს ყოველთვე.



**დასკვნა:**

- ის ფაქტი, რომ რესპოდენტთა დაახლოებით 50% ადასტურებს, რომ კვირაში ერთხელ მაინც ათვალიერებს ვებ-გვერდს, მეტყველებს ვებ-გვერდთან მიმართებაში ჩართულობის საკმაოდ მაღალ დონეზე.
- ამასთან, წინა კითხვაზე მხოლოდ 27%-მა უპასუხა, რომ ვებ-გვერდი კომუნიკაციის ეფექტიანი საშუალებაა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ინფორმაციის მიწოდების მიზნით ვებ-გვერდების ეფექტიანობის გაუმჯობესება მაინც შესაძლებელია.


## კითხვა 5 - ინფორმაცია რეფორმის შესახებ

**კონტექსტი:** საქართველო აგრძელებს რეფორმის გატარებას მრავალი მიმართულებით. მათ შორის ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროში. ამ რეფორმათაგან ბევრი გავლენას ახდენს აუდიტორთა ყოველდღიურ საქმიანობაზე, მათ შორის აუდიტორული შემოწმების პროგრამების ჩამოყალიბებაზე. ბუღალტრები და აუდიტორები პროფესიულ ორგანოებზე დამოკიდებულნი არიან, როგორც მიმდინარე რეფორმის შესახებ ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროზე, რომელიც ამ რეფორმით გამოწვეული გამოწვევების დაძლევაში ეხმარება მათ.

**კითხვა:** რამდენად კმაყოფილი ხართ პროფესიული ორგანიზაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის დროულობით და ხარისხით რეფორმისა და ცვლილებების მიმდინარეობის შესახებ?

**შედეგები:**

- 377-დან 344-მა რესპონდენტმა უპასუხა ამ შეკითხვას – დაახლოებით 10%-მა (35) პასუხი არ გასცა.
- შედეგები მოყვანილია ამ დიაგრამაში:



- პასუხებში გაერთიანებულია დადებითი და ნაკლებად დადებითი მოსაზრებები. 60% -ზე მეტმა აღნიშნა, რომ პროფესიული ორგანიზაციები სწრაფად აწვდიან საინტერესო ინფორმაციას რეფორმების შესახებ. ეს ადასტურებს, რომ პროფესიული ორგანიზაციები საკმაოდ დიდ ძალისხმევას იჩენენ რეფორმების შესახებ წევრებთან კომუნიკაციისათვის.
- ამასთან, ყველა სხვა კითხვაზე დადებითი პასუხი 40% -ზე ნაკლებია. პროფესიული ორგანიზაციების გამგეობის წევრთა რაოდენობის გათვალისწინებით, რომლებმაც სავარაუდოდ დადებითი პასუხი გასცეს, იმ პირთა რიცხვი, ვინც ეთანხმება, რომ პროფესიული ორგანიზაციები სრულად აღწერენ რეფორმებსა და საკანონმდებლო ცვლილებებს, შესაბამისად, დაახლოებით 20% და 15%-ია.

**დასკვნა:**

- გარდა პირველი კითხვისა, ყველა სხვა კითხვაზე პასუხების მცირე რაოდენობა მიუთითებს იმაზე, რომ პროფესიულ ორგანიზაციებს შეუძლიათ რეფორმებისა და საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ კომუნიკაციის ეფექტიანობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება.


## კითხვა 6 - პროფესიული მხარდაჭერის წყაროები

**კონტექსტი:** წინა შეკითხვებიდან ჩანს, რომ საქართველოს პროფესიული ორგანიზაციები ცდილობენ თავიანთ წევრებს პროფესიული დახმარება შესთავაზონ, როგორც მათთვის უმთავრესი მომსახურება და ცდილობენ მხარი დაუჭირონ საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ხარისხის გაუმჯობესებას. ყველა წევრი არ დაიწყებს ასეთი დახმარების მოძიებას თავისი პროფესიული ორგანიზაციისაგან, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ისინი ფირმების უფრო ფართო ქსელის წევრნი არიან.

**კითხვა:** პროფესიული ორგანიზაციის ხარისხიანი პროფესიული მხარდაჭერა ხელმისაწვდომია შემდეგი წყაროების საშუალებით:

**შედეგები:**

- 377-დან 361-მა რესპონდენტმა უპასუხა ამ შეკითხვას.
- შედეგები ასახულია ამ დიაგრამაში:



- აღნიშნული წყაროებიდან ოთხმა მიიღო 40% ან მეტი დადებითი პასუხი. ესენია კონსულტაციები ექსპერტებთან და სპეციალისტებთან, ვებ-გვერდი, სემინარები და უწყვეტი პროფესიული განვითარება.
- სხვა ვარიანტები გაცილებით ნაკლებად დასახელდა პროფესიული მხარდაჭერის წყაროდ. კომიტეტის განმარტებები და კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობა წარმოადგენს დადებითი პასუხების მცირე რაოდენობის მაგალითებს.

**დასკვნა:**

- რესპოდენტთა რაოდენობა, რომლებმაც ეს ოთხი ვარიანტი გამოავლინეს, დადებითი მნიშვნელობის მატარებელია პროფესიული ორგანიზაციებისათვის, რადგან იმაზე მიუთითებს, რომ წევრთა 40-50% პროფესიული მხარდაჭერისათვის პროფესიულ ორგანიზაციებს მიმართავს.
- პროფესიულმა ორგანიზაციებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ ამ საშუალებებზე, რათა ასეთი მხარდაჭერის მიწოდება გააუმჯობესონ.


## კითხვა 7 - უწყვეტი პროფესიული განვითარება

**კონტექსტი:** უწყვეტი პროფესიული განვითარება ყველაზე პოპულარული არჩევანი იყო წინა შეკითხვაში, რომელიც ორგანიზაციის მხრიდან პროფესიულ მხარდაჭერას ეხებოდა. წევრები ვალდებულნი არიან ყოველწლიურად უწყვეტი პროფესიული განვითარების დადგენილი საათების რაოდენობა გაიარონ. ამიტომაც, უკუკავშირი ორგანიზაციის მიერ მიწოდებული უწყვეტი პროფესიული განვითარების ხარისხზე აუცილებელია, რათა ორგანიზაციამ ამ მნიშვნელოვანი მომსახურების მიწოდება გააუმჯობესოს. ყველა წევრი არ გაივლის თავის უწყვეტ პროფესიულ განვითარებას პროფესიული ორგანიზაციის კურსების გამოყენებით, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ბუღალტრული აღრიცხვის ფირმების უფრო ფართო ქსელის წარმომადგენლები არიან.

**კითხვა:** უწყვეტ პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით კმაყოფილი ვარ ქვევით ჩამოთვლილის ხარისხით:

**შედეგები:**

- 377-დან 345-მა რესპონდენტმა უპასუხა ამ შეკითხვას. თითქმის 10%-მა არ გასცა პასუხი.
- შედეგები ნაჩვენებია ამ დიაგრამაში:



- მასალებითა და ლექტორებით კმაყოფილების მაღალი დონე, 60-70%, მკვეთრად განსხვავდება კურსების ინტერაქტიურობის ხარისხით, ხანგრძლივობითა და კურსების განრიგის დაგეგმვით კმაყოფილების დაბალი დონისგან (30%).

**დასკვნა:**

- პროფესიული ორგანიზაციები მაღალ შეფასებას იმსახურებენ მასალებისა და ლექტორების ხარისხის გამო, რაც უწყვეტ პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული ჩამოთვლილი ფაქტორებიდან ყველაზე მნიშვნელოვნად შეიძლება ჩაითვალოს. მაღალი კვალიფიკაციის მქონე ლექტორები, რომლებიც ასწავლიან ხარისხიან მასალას, უწყვეტი პროფესიული განვითარების მაღალი ხარისხისა და მონაწილეთა კმაყოფილების ძლიერი ინდიკატორებია.
- პროფესიულმა ორგანიზაციებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ის, თუ როგორ არის შედგენილი სასწავლო კურსების განრიგი და მათი ხანგრძლივობა. თუმცა, შესაძლოა, კურსებისათვის სხვადასხვაგვარი იდეალური დროის შერჩევა, წევრების განსხვავებული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, რთული აღმოჩნდეს.




## კითხვა 8 - პროფესიული ორგანიზაციის ეფექტიანობა და გამჭვირვალობა

**კონტექსტი:** როგორც ნებისმიერი საწევრო ორგანიზაციის შემთხვევაში, პროფესიული ორგანიზაციების წევრებსაც სურთ იმის ცოდნა, რომ მათი ორგანიზაცია გამჭვირვალედ და ეფექტიანად არის ორგანიზებული. თუ ეს ატრიბუტები ან არ არსებობს ან მხოლოდ ნაწილობრივად დაკმაყოფილებული, მაშინ წევრები ნაკლებად იქნებიან ჩართულნი და კმაყოფილნი თავიანთი ორგანიზაციით. ასევე, ეს უარყოფითად იმოქმედებს პროფესიული ორგანიზაციის რეპუტაციაზე, რაც შეამცირებს ორგანიზაციის უნარს პროფესიას გაუძღვეს და პოლიტიკის შემქმნელებზე ზეგავლენა ისე მოახდინოს, რომ შედეგად პროფესია გაძლიერდეს.

**კითხვა:** პროფესიული ორგანიზაციის საქმიანობას ვაფასებ როგორც გამჭვირვალეს და ეფექტიანს რადგან:

**შედეგები:**

- 377-დან 326-მა რესპოდენტმა უპასუხა ამ შეკითხვას. 50-ზე მეტმა რესპოდენტმა, თითქმის 14% - მა, არ გასცა პასუხი.
- შედეგები ამ დიაგრამაშია ასახული:



- პროფესიული ორგანიზაციების გამჭვირვალობის და ეფექტიანობის გარკვეული ასპექტებით კმაყოფილების დონე არც ისე მაღალია. თუ მხედველობაში მივიღებთ გამგეობის წევრთა სავარაუდო გავლენას დადებითი შედეგების მატებაზე, მაშინ დადებითი პასუხები სამ ვარიანტზე შეიძლება 30% -ზე ნაკლები იყოს, ხოლო ორ პასუხზე კი 20% -ზე ნაკლები. რესპოდენტების საკმაოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებელი, როგორც ჩანს, წუხილს გამოხატავს თავისი ხმების ან კომენტარების გათვალისწინებასთან დაკავშირებით.
- მეორე მხრივ, გამგეობის წევრთა ხელმისაწვდომობამ და პროფესიული ორგანიზაციების პროცესებისა და სტრატეგიის შესახებ ინფორმირებულობამ პასუხების შედარებით დიდი რაოდენობა დააგროვა, 40% -ზე მეტი.

## დასკვნა:

- პროფესიულმა ორგანიზაციებმა შეიძლება მოისურვონ გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის გაუმჯობესების გაგრძელება განსაზღვრულ სფეროებში. წევრების შენიშვნებზე რეაგირების მოხდენა გამოიკვეთა, როგორც შესაძლო მიმართულება, რომლის გაუმჯობესებაც შეიძლება. გამგეობის წევრობაზე კანდიდატურის წამოყენებისა და დანიშვნის გამჭვირვალობა გადამწყვეტია პროფესიული ორგანიზაციების მართვის ლეგიტიმურობისათვის და ამიტომაც პრიორიტეტულად უნდა მიიჩნეს.
  - როგორც ჩანს, წევრები საკმაოდ კარგად არიან ინფორმირებულნი პროფესიული ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ.
6. პროფესიულ ორგანიზაციებს შეიძლება სურდეთ მუშაობა IFAC -ის, საერთაშორისო პროფესიული ორგანიზაციების და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით, რომ გამოავლინონ და გადაჭრან პროფესიული ორგანიზაციის მართვის გამჭვირვალობის და ეფექტიანობის უწყვეტი ამაღლების წინაშე არსებული გამოწვევები.
-

## კითხვა 9 - რა საჭიროებს გაუმჯობესებას

**კონტექსტი:** ბუნებრივია, კითხვაზე, ორგანიზაციის რომელი ასპექტების გაუმჯობესებაა საჭირო, მივიღებთ მხოლოდ ისეთ მოსაზრებებს, რომლებიც ხაზს გაუსვამს ხარვეზებსა და ისეთ სფეროებს, რომლებიც, ინდივიდუალური რესპოდენტების აზრით, ორგანიზაციისათვის ოპტიმალური არ არის. პასუხები არ უნდა განზოგადდეს რაიმე ფორმით და განხილულ უნდა იქნეს ამ კონტექსტში. შეუძლებელია იმის გარკვევა თუ ცალკეული რესპოდენტი რომელი პროფესიული ორგანიზაციის წევრია, ამდენად არცერთი კომენტარი არ არის სპეციფიკური რომელიმე პროფესიული ორგანიზაციისთვის. პასუხები განხილულ უნდა იქნეს როგორც ზოგადად ქართველი ბუღალტრების მიერ წამოჭრილი საკითხები.

**კითხვა:** რა არის გასაუმჯობესებელი პროფესიული ორგანიზაციების მხრიდან?

**შედეგები:**

377 რესპოდენტიდან ამ შეკითხვას მხოლოდ 79-მა უპასუხა. დადებითი ნიშნად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ის ფაქტი, რომ 80% -ს არ ჰქონდა გაუმჯობესებასთან დაკავშირებით რეკომენდაციის გაწევის სურვილი.

პასუხებისა და რეკომენდაციების სრული სია მოყვანილია დანართ ა-ში.

თემები, რომლებიც პასუხებში გამოიკვეთა, მოიცავს:

- წევრთა აზრით, წევრებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება პრიორიტეტული საკითხია, მათ შორის ინტერნეტით, ვებ-გვერდისა და "ელექტრონული კომუნიკაციის" მეშვეობით
- წევრებმა მოითხოვეს უფრო მეტი მიზნობრივი ტრენინგი და კონსულტაცია ექსპერტებთან, მათ შორის, მეტი ონლაინ ტრენინგი
- წევრებმა მოითხოვეს დახმარება მცირე აუდიტორული ფირმებისთვის, მათ შორის აუდიტორული შემოწმების ქმედით პროგრამასთან დაკავშირებით.

**დასკვნა:**

პროფესიულმა ორგანიზაციებმა უნდა გაითვალისწინონ ამ კითხვაზე მიღებული მრავალფეროვანი პასუხები და განიხილონ რომელიმე წამოჭრილი საკითხი იძლევა თუ არა მინიშნებას იმ სფეროებზე, რომლებზეც მათ შეიძლება სურდეთ რეაგირება.


## კითხვა 10 - პროფესიული ორგანიზაციის მიერ მოწოდებული ინფორმაცია

**კონტექსტი:** როგორც გამოკითხვის წინა შეკითხვებზე გაცემულ ბევრ პასუხში აღინიშნა, მსოფლიოს ყველა პროფესიული ორგანიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა წევრებისათვის უახლესი ინფორმაციის მიწოდება მათ საქმიანობასთან დაკავშირებულ სიახლეებზე. ეს ის მომსახურებაა, რომელზეც მრავალი ბუღალტერი არის დამოკიდებული, რადგან თავად არ გააჩნიათ იმის რესურსი, რომ თვალი ადევნონ მოვლენებს და ამიტომაც დამოკიდებულნი არიან პროფესიული ორგანიზაციის ტექნიკურ კომპეტენციასა და შესაძლებლობებზე.

**კითხვა: (ბუღალტრებისთვის) დროულად ვიღებ სრულ და ხარისხიან ინფორმაციას შემდეგი საკითხების შესახებ:**

**შედეგები:**

- 377-დან 230-მა რესპონდენტმა უპასუხა ამ შეკითხვას. ეს იმაზე მიუთითებს, რომ პასუხის გაცემა მხოლოდ ბუღალტრებს სთხოვეს. მიზეზი შესაძლოა ისიც იყოს, რომ ეს შეკითხვა გამოკითხვის დასასრულისკენ იყო მოცემული.
- შედეგები ამ დიაგრამაშია მოყვანილი:



- რესპოდენტთა დიდი ნაწილი, 60%-ზე მეტი, დადებით პასუხს სცემს, რომ მათ სრულ და ხარისხიან ინფორმაციას აწვდიან მსს ფასს-ის შესახებ და მიკრო საწარმოების სტანდარტების შესახებ.
- წევრების ოდნავ ნაკლები რაოდენობა დადებითად აფასებს ამ ორი სტანდარტის შესახებ ტრენინგთან დაკავშირებულ ინფორმაციას, თუმცა ეს წილი მაინც აღემატება 40%-ს.

**დასკვნა:**

- ზოგიერთ სხვა კითხვასთან შედარებით, ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებზე ინფორმაციის მიწოდებამ დადებითი პასუხების შედარებით დიდი რაოდენობა დაიმსახურა. თუმცა, გაუმჯობესების წინაპირობა მაინც არსებობს, რადგან დაახლოებით 40%-მა დადებითი პასუხი არ გასცა.


## კითხვა 11 - პროფესიული ორგანიზაციის რეკომენდება კოლეგისთვის

**კონტექსტი:** წევრთა საერთო კმაყოფილება ამ კვლევაში განხილული ყველა საკითხის მიმართ, შეიძლება გამოვლინდეს ზოგად შეკითხვაში, მაგალითად, ურჩევდნენ თუ არა თავის კოლეგებს პროფესიულ ორგანიზაციაში გაწევრიანებას.

**კითხვა:** თანახმა ვარ ჩემი კოლეგა გახდეს ჩემი პროფესიული ორგანიზაციის წევრი:

**შედეგები:**

- 377-დან 345-მა რესპონდენტმა უპასუხა ამ შეკითხვას.
- შედეგები ამ დიაგრამაშია ნაჩვენები:



- 78% დაეთანხმა ან სრულიად დაეთანხმა იმას, რომ კოლეგას ურჩევდა (თანახმა იქნებოდა), რომ მისი პროფესიული ორგანიზაციის წევრი გახდეს.
- 29% ნეიტრალურად იყო განწყობილი. მხოლოდ 3% არ ურჩევდა პროფესიულ ორგანიზაციას.
- ეს ძალიან დადებითი პასუხია და მიანიშნებს იმაზე რომ, მთლიანობაში, წევრები კმაყოფილნი არიან შემოთავაზებული მომსახურებით და პროფესიული ორგანიზაციის წევრობის სარგებელი აჭარბებს ხარჯს



# დანართი ა - მოსაზრებათა ჩამონათვალი

## სხვადასხვა საჭირო გაუმჯობესების შესახებ,

### კითხვა 9

მე-9 კითხვა ასეთი იყო: "რა არის გასაუმჯობესებელი პროფესიული ორგანიზაციების მხრიდან?" ქვემოთ მოცემულია პასუხების არასრული სია.

- ყველაფერი კარგია
- აუცილებელია სასწავლო გარემოს გაუმჯობესება
- ვფიქრობ, რომ მეტი შეხვედრა და ღონისძიება უნდა დაეთმოს მიმდინარე ცვლილებებს ამ სფეროში, ამ სფეროში მოღვაწე ადამიანები უფრო ხშირად უნდა ხვდებოდნენ ერთმანეთს. ორგანიზაცია განვითარების ძალიან მნიშვნელოვან ეტაპზეა
- ფინანსური დახმარება შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისგან
- სასურველი იქნებოდა დარგობრივი ტრენინგები. რაც შეეხება უწყვეტ განვითარებას, ტრენინგების ჩატარება ერთმანეთის მიყოლებით არ არის ეფექტიანი
- მეტი სამუშაო შესასრულებელი წევრების ინფორმირებასთან დაკავშირებით, ცხელი ხაზი უნდა მუშაობდეს
- ონლაინ ტრენინგებზე და სემინარებზე გადასვლა
- უფრო მჭიდრო ურთიერთობა ზედამხედველობის მონიტორინგთან და უფრო მეტი სიცხადე პროფესიული კონტროლის მექანიზმების ობიექტურობასთან დაკავშირებით
- საწევრო შენატანი
- უახლესი, თარგმნილი პროფესიული ლიტერატურის მიწოდება
- ყველაფერი ადვილად ხელმისაწვდომია
- პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა თემების ერთმანეთისგან გამიჯვნა
- პროფესიულმა ორგანიზაციამ ექსპერტებთან უფრო მეტი შეხვედრა უნდა გამართოს
- ურთიერთობა რეგიონებთან, მეტი ინფორმაცია უნდა მიაწოდონ ცვლილებების შესახებ
- ინფორმაციის მიწოდება
- მოთხოვნები არ შეესაბამება არსებულ რეალობას
- კომუნიკაცია
- რეკლამა
- წევრების მხარდაჭერა
- მეტი შეხვედრა და კონსულტაცია
- ვისურვებდი, რომ მეტი დრო ეთმობოდა მსს ფასს-ს და მე-4 კატეგორიის საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებს
- პროფესიული ტრენინგები რეგიონებში
- საკანონმდებლო ინიციატივები
- დროული მხარდაჭერა კვალიფიციური სპეციალისტისგან
- ტრენინგები ყველა თემაზე, მათ შორის, ტრენინგები მე-3 და მე-4 კატეგორიის საწარმოების შესახებ, ამ საწარმოთა წლიური დეკლარაციების განხილვა და მათი სინქრონიზება აუდიტორთა ფუნქციებთან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არა განცალკევება, არამედ გაერთიანება
- დამატებითი, არასავალდებულო ტრენინგების ორგანიზება
- მეტი სამუშაო შეხვედრა

- აუდიტორული შემოწმების მოქმედი პროგრამის განხორციელება
- ონლაინ ლექციები ძალიან კარგი იქნებოდა
- კომიტეტმა უფრო აქტიურად უნდა იმუშაოს
- წევრებთან მეტი კომუნიკაცია სიახლეების შესახებ
- უკეთესი კომუნიკაცია წევრებთან
- უკეთესი კომუნიკაცია და მეტი ღონისძიება
- ტრენინგები, სემინარები და ტრენინგების ხანგრძლივობა
- ინფრასტრუქტურა და გამჭვირვალობა
- ტრენინგებისა და შეხვედრების სიხშირე
- აქტიური სოციალური მედია
- ტრენინგი ყველა სიახლის შესახებ
- უწყვეტი ტრენინგები
- ტრენინგების ინტენსიურობის გაზრდა
- ვებ-გვერდი
- პრობლემებისა და პრაქტიკული გადაწყვეტილებების კლასიფიკაცია, თეორიის წაკითხვა წიგნებში თვითონაც შეგვიძლია :))
- ეფექტიანი კომუნიკაცია, უწყვეტი განათლების პროგრამა ორიენტირებული უნდა იყოს პრაქტიკულ შემთხვევებზე, უფრო მეტ შემთხვევათა შესწავლაზე, რომლებიც დეტალურად უნდა განიხილოს ინტერაქტიულ და არა პასიურ რეჟიმში. ჩვენ მათთან მარტივი და ადვილი კომუნიკაცია უნდა შეგვეძლოს, დაინტერესებული წევრები უნდა ჩართონ სხვადასხვა პროგრამებში, რათა მათ პროფესიულ განვითარებას შეუწყონ ხელი.
- წევრებს შევთავაზებდი სხვადასხვა შემთხვევას, რა თქმა უნდა, დაინტერესების შემთხვევაში
- უწყვეტი განათლებისა და სხვა ტრენინგების ონლაინ ხელმისაწვდომობა
- უფრო აქტიური მუშაობა
- წევრებისთვის საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ ინფორმაციის უწყვეტი მიწოდება
- წევრებთან ელექტრონული კომუნიკაცია
- პროფესიული შეხვედრებისა და თემატური სემინარების დაგეგმვა და განხორციელება
- უფრო მეტი პრაქტიკული დახმარება უნდა გაეწიოს მცირე აუდიტორულ ფორმებს, რათა მათ შემდგომ ხარისხიანი აუდიტორული მომსახურების მიწოდება
- ხშირი შეხვედრები და დისკუსიები
- კონკრეტულად არაფერი
- გარკვეულ შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფო ზედმეტად ბიუროკრატიულია საგადასახადო, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროებში, პოზიცია უფრო აქტიური უნდა იყოს
- დაიცავით წევრთა უფლებები
- ინფორმაციის მიწოდება
- პროფესიული ორგანიზაცია არ უნდა იყოს ორიენტირებული მხოლოდ მოგებაზე
- უფრო აქტიური მუშაობა საკანონმდებლო საქმიანობის კუთხით, რაც ხელს შეუწყობს აუდიტორთა და ბუღალტერთა საქმიანობას
- კომუნიკაცია არააქტიურ წევრებთან
- როდესაც კითხვარს ქმნით, პასუხები მხოლოდ დადებითია, ვერ ვიპოვე უარყოფითი პასუხის ვარიანტები - გთხოვთ, პირველ რიგში, ეს გააუმჯობესოთ. 2. მას შემდეგ, რაც ამ ორგანიზაციის წევრი გახდით, ვერ ვიხსენებ რაიმე სახის ყურადღებას, სიახლეების მიღებას, ან რაიმე შეტყობინებას, ამიტომ არ შემიძლია კომენტარის გაკეთება იმაზე, თუ რას შევცვლიდი, რადგან წარმოდგენა არ მაქვს ამ ორგანიზაციის მუშაობის შესახებ
- უწყვეტი პროფესიული განვითარება საჭიროებს გაუმჯობესებას

- სიახლეებზე ორიენტირება და წევრთა მუდმივი ინფორმირება სიახლეების შესახებ, ხშირი სამუშაო შეხვედრები
- ხშირი კომუნიკაცია წევრებთან, მათ შორის წევრებთან რეგიონებში
- გთხოვთ, განაახლოთ ვებ-გვერდი ისე, რომ ინფორმაცია ადვილად ხელმისაწვდომი და ამომწურავი იყოს. სამწუხაროდ, მოწოდებული ინფორმაციის ფორმატი და ვიზუალური მხარე მოთხოვნების შესაბამისი არ არის.
- პროფესიულმა ორგანიზაციამ მეტი ინფორმაცია უნდა მოგვაწოდოს, გამართოს მეტი შეხვედრა და გვაცნობოს სიახლეების შესახებ. კომუნიკაცია მწირია იქამდე, სანამ ჩვენ თვითონ არ ვიწყებთ ინფორმაციის მოძიებას
- უფრო მეტი მხარდაჭერა აუდიტის განხორციელებაში
- უკეთესი კომუნიკაცია და ინფორმაციის მიწოდება სიახლეების შესახებ, კონსულტაციები სადავო შემთხვევებზე
- დარგის განვითარება და ცოდნის ხარისხის გაუმჯობესება
- ჩემი აზრით, პროფესიული ორგანიზაცია ვერაფერს შესთავაზებს საერთაშორისო ორგანიზაციაში დასაქმებულ პირს და, ზოგადად, არ არის მომხმარებლისთვის მოსახერხებელი. ძლიერი პროფესიული ორგანიზაცია ამ დარგში მაღალი სტანდარტების ჩამოყალიბებას ძალიან შეუწყობს ხელს. ორგანიზაციის მიერ ორგანიზებული გამოცდები ტარდება მხოლოდ გამოცდების გულისათვის და ზოგჯერ ყალბ პროფესიონალებს ამზადებს, რომლებიც შრომის ბაზარზე რეალური კონკურენციისთვის მზად არ არიან.
- მოთხოვნებზე დაფუძნებული ტრენინგის დაგეგმვა
- უწყვეტი პროფესიული განვითარება მოითხოვს არა მხოლოდ თემებისა და პედაგოგების დახვეწას, არამედ სასწავლო ინფრასტრუქტურისაც.
- უწყვეტ პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული ღონისძიებები, სიხშირე
- ინტერნეტ სისტემების გაუმჯობესება შეიძლება